საიქიოს რწმენა

საბავშვო მოთხრობები რწმენა-5

# ჩვენები

## მეზობლის ჩიტები



# ჩვენები მეზობლის ჩიტები

სალიჰი საკმაოდ დიდი ხანი გაკვეთილს სწავლობდა. უკვე მობეზრდა. გაკვეთილის უმეტესი ნაწილი უკვე ისწავლა. გადაწყვიტა ცოტა ხანი შეესვენა. სალიჰი აივანზე გავიდა. შუადღე იყო. მეზობლის სახლის ფანჯრებზე ჩიტები იყვნენ. ეს ჩიტები დილიდანვე ჭიკჭიკებდნენ. ზოგჯერ აღვიძებდნენ კიდეც სალიჰს. სალიჰის მეზობელი ემინე დეიდა ყოველ დილით ფანჯარაზე საკენკს უწყობდა. ჩიტებიც ყოველ დილით შემოსხდებოდნენ ფანჯრის რაფაზე და ჭამას იწყებდნენ. ეს ორი პატარა ჩიტი ერთის მხრივ საჩქაროდ კენკავდნენ საჭმელს, ხოლო მეორეს მხრივ ცალი თვალით არემარეს ათვალიერებდნენ, რათა მოსალოდნელი საფრთხე დაენახათ. სალიჰს ძალიან მოეწონა ეს ჭიტები.



სალიჰს ცხოველები ისედაც უყვარდა. ქუჩაში ცხოველების წვალებით გართულ ბავშვებს რომ დაინახავდა აფრთხილებდა და უშლიდა. ცოცხალ არსებებზე ცუდად მოპყრობის უფლება არავის ჰქონდა. სალიჰი თანატოლებს სულ ამას უხსნიდა.

სალიჰის ოჯახსაც ბაღში ძაღლი ჰყავდა. მამამ რომ ეს ძაღლი მოიყვანა, სალიჰი ძალიან პატარა იყო. სალიჰმა მას ბონჯუქი შეარქვა.

სალიჰს ფრინველებიც ძალიან უყვარდა. ემინე დეიდასი შურდა, რადგან ჩიტები მის ფანჯრებთან მიდიოდნენ. "მეც რომ დავყარო საკენკი ბალკონზე, ნეტა არ მოვლენ ჩიტები?" ფიქრობდა სალიჰი. იფიქრა, მოდი დედას ვკითხავო და სახლში შევიდა. თუმცა სამზარეულოდან ისეთი ღვეზელის სუნი მოდიოდა რომ სალიჰი თავისკენ წაიყოლია. დედას ისევ ის საყვარელი ღვეზელი გამოეცხო.

- ვაშაა, დედიკო, მე გამომიცხვეე?



- შენც შეგიძლია ჭამო შვილო. თუმცა მე ესენი ზეჰრა დეიდასთვის გავაკეთე.

- რატომ? სტუმრად მოდის?

- ხო. სტუმრად მოდის შვილო.

- დედა სალიჰის გვერდით ჩამოჯდა. სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც ძალიან სერიოზული უნდა ეთქვა.



- ზეჰრა დეიდას მამა გარდაეცვალა შვილო, უთხრა დედამ.

- მურატის ბაბუა მოკვდა?

- დიახ შვილო. ამიტომ ჩვენ ძალიან კარგი ტრადიცია გვაქვს. მიცვალებულის ოჯახში საჭმელებს მივიტანთ ხოლმე. იქ მოსულ სტუმრებს და ოჯახის წევრებს ამ საჭმელებით ვუმასპინძლდებით.

მურატი სალიჰის სკოლის მეგობარი იყო. მურატის ბაბუის გარდაცვალებამ სალიჰი ძალიან დაამწუხრა. სახე მოეღრუბლა. თავის მეგობარზე ფიქრობდა.

- მუარტი ძალიან დაღონებული იქნება დედა.



- რა თქმა უნდა შვილო, როდესაც ვინმე ახლობელს ვკარგავთ ყველა ჩვენგანი დაღონდება.

თუმცა უნდა იცოდე, რომ ამ ქვეყნად რაც იბადება, ანუ ყოველი ცოცხალი არსება ბოლოს აუცილებლად კვდება. ამ სამყაროში არსებულ ყოველ ცოცხალ არსებას გააჩნია, როგორც დასაწყისი, ისე დასასრული. ყველაფერი იწყება და მთავრდება. მხოლოდ ღმერთს არ გააჩნია არც საწყისი და არც დასასრული.

დედამიწაზე მოსვლა ჩვენი მოგზაურობის პირველი ნაბიჯია. ადამიანი ცოცხლობს, ცოცხლობს და ერთ დღესაც ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდება.



- თუმცა ადამიანისთვის სიკვდილი დასასრული სულაც არ არის. სწორედ ამიტომაა, რომ სიკვდილი არ უნდა გავაპროტესტოთ. არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ სიცოცხლეცა და სიკვდილიც ღმერთმა გააჩინა. ღმერთმა სიცოცხლე და ამქვეყნიური ცხოვრება გვიწყალობა, რათა კეთილი და ბოროტი ადამიანები განეცალკევებინა. სიცოცხლის დასრულებისას ღმერთი ჩვენს სულებს სხეულებისგან განაცალკევებს და მიიბარებს. უსულო სხეულს მიწაში ვმარხავთ. ხომ იცი შვილო, ადამიანის სხეული მიწისაგანაა შექმნილი და ისევ მიწას უბრუნდება. რაც შეეხება სულს, ის სხვა სამყაროში გადადის და ელოდება. ჩვენ იმ სამყაროს შესახებ არ ვიცით და ვერც გავიგებთ, სანამ ცოცხლები ვართ. ეს მხოლოდ ღმერთმა იცის. სამყაროს დასასრულამდე, ანუ წარღვნამდე, სულები იმ სამყაროში განაგრძობენ ლოდინს.

სალიჰი გაოცებული იყო.

- კი მაგრამ ეს ძალიან ბევრი დროა. ასე არ არის დედა?



- იმ სამყაროში დრო არ იგრძნობა შვილო. ადამიანთა სულები სანამ დედამიწას მოევლინებიან, მანამდე სულების სამყაროში განაგრძობენ ლოდინს, მაგრამ ეს არავის ახსოვს. წარღვნის შემდეგ ღმერთი ყოველ არსებას ხელახლა გააცოცხლებს. ამის შემდეგ დაიწყება საიქიო ცხოვრება. საიქიოს რწმენა რწმენის პირობებიდან ერთ-ერთია. ეს ყველა მუსლიმმა უნდა დაიჯეროს და თან იცოდეს.

ღვეზელი მადისაღმძვრელ სუნს აფრქვევდა. სალიჰი კი მთელი გულისყურით დედას უსმენდა.

დედამ ღვეზელი აიღო, ერთი ნაჭერი სალიჰს დაუდო თეფშზე და დანარჩენი სპეციალურ ჭურჭელში ჩაალაგა.



სალიჰი მადიანად შეექცა ღვეზელს, თან დედის მონაყოლზე ფიქრობდა. სიკვდილი დასასრული არ ყოფილა. ეს კარგი რამ იყო. სიკვდილის შემდეგ რომ ყველაფერი დასრულდეს რა ცუდი იქნებოდა. ვინც გიყვარს ყველას მოშორდები და ველარ ნახავ.

მზის მცხუნვარება ცოტათი შესუსტებული იყო. სალიჰმა მეგობრებთან წასასვლელად დედას ნებართვა სთხოვა. ისევ დედის მონაყოლზე ფიქრობდა. სანახევროდ მიტოვებული დავალებაც კი დაავიწყდა სალიჰს. გარეთ ერთად გავიდნენ.

- გაკვეთილებს მორჩი თუ არა შვილო? ჰკითხა დედამ
- ძალიან ცოტაღა დამრჩა დედა. საღამოს დავასრულებ.
- კარგი შვილო, ძალიან არ დაიგვიანო.

დედა იმ სახლისკენ წავიდა სადაც მიცვალებული იყო, ხოლო სალიჰი უბნის მეგობართან ფარუქთან გაიქცა. მათ უბანში ერთადერთი ცარიელი მინდორი იყო და ბავშვებიც ამ ადგილას ფეხბურთს თამაშობდნენ. უბნის ბავშვები ყოველთვის აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს ცარიელი ადგილი მათთვის ყველაზე ძვირფასი ადგილი იყო.



ფარუქმა მიმავალი სალიჰი რომ დაინახა, მაშინვე წითელკოპლებიანი ბურთი აჩვენა.

- ნახე, მამამ მიყიდა.

- რა მაგარია! წამოიძახა სალიჰმა.

- მოდი ვითამაშოთ. შენ გელოდებოდი.

- ცოტა ხანში ვითამაშოთ. თქვა სალიჰმა. ის ჯერ კიდევ უხასიათოდ იყო.

სალიჰი კორდზე ჩამოჯდა. საღამოს მზე მის სახეს ანათებდა.

ფარუკი მეგობრის მოწყენილობის მიზეზით დაინტერესდა.

- რა გჭირს სალიჰ, ჩემს ახალ ბურთსაც კი არ შეხედე.



- იცი, ფარუკ, მურატის ბაბუა გარდაიცვალა.

ფარუკმა მურატი ვერ გაიხსენა. ისინი სხვადასხვა კლასში სწავლობდნენ.

- ჩემი კლასელი მურატი, ქერა მაღალი ბიჭი, არ გახსოვს?

- ხო, კარგი, გამახსენდა. ფარუკსაც მოწყენილობა შეეტყო.

ორივე მათგანს თავისი ბაბუა დაუდგა თვალწინ. ისე ნათლად წარმოიდგინეს მათი სახე, რომ თითქოს ხედავდნენ. ისინი ხომ მათ ყოველ ანცობას მოთმინებით იტანდნენ. ერთ დღეს მათი ბაბუაც რომ მოკვდეს რა ცუდი იქნება!



muslim georgia

ფარუკის არანაკლებ დანაღვლიანებული იყო.

სალიჰი ფარუკს მიუბრუნდა

- იცი ფარუკ, მურატის ბაბუა ერთი კვირის წინ ვნახე. სკოლიდან ვბრუნდებოდით და იქ შეგვხვდა. მეჩეთიდან მოდიოდა. მეც მაშინ მივესალმე.

ბავშვები ცოტა ხანი გაჩუმდნენ და ფიქრებში ჩაიძირნენ.

- ისე, სიკვდილი არც თუ ისე ცუდი რამ ყოფილა, თქვა სალიჰმა.

- ბაბუასთან გაშორებაა ძნელი. მიუგო ფარუკმა.



- მართალი ხარ მეგობარო, თუმცა რახან სიკვდილის შემდეგ ისევ გავცოცხლდებით, აღარ უნდა მოვიწყინოთ.

სალიჰს დედის მონაყოლიდან რაც გაახსენდა მოყოლა დაიწყო.

- მკვდრების გაცოცხლება ღმერთისთვის საერთოდ არ არის ძნელი. ეს თურმე ისე მოხდება, როგორც გაზაფხულზე მკვდარი ბალახი და ხეები ცოცხლდება. რაიმე ხილის კურკა მკვდარი გვგონია, მაგრამ თუ მიწაში დავმარხავთ მისგან უზარმაზარი ხე აღმოცენდება. ეს ყველაფერი ხომ ჩვენს თვალწინ ხდება და საერთოდ არ გვიკვირს. ეს ყველაფერი ძალიან ნორმალურია ჩვენთვის. ამის მსგავსად, სიკვდილის შემდეგ ყოველი ადამიანი ხელახლა გაცოცხლდება. ყოველი ადამიანი ამ ქვეყნად ნამოქმედარის გამო ღმერთის წინაშე განიკითხებიან. ღმერთი კი ყველაზე მეტად სამართლიანია.



- თანაც დაფიქრდი ფარუქ, საიქიო ცხოვრება და განკითხვა რომ არ იყოს, ამ ქვეყნად ჩადენილი ბოროტება და ცოდვა რა უნდა იქნას? მკვლელები და ქურდები დაუსჯელად რომ დარჩნენ, გინდა ეს?

- რა თქმა უნდა არ მინდა. ჩაილაპარაკა ფარუქმა.

- სიკეთისთვისაც ჯილდო არსებობს ხომ? კითხვა შეუბრუნა ფარუქმა.

- დიახ. ვინც ღმერთის კმაყოფილბას მოიპოვებს სამოთხით დაჯილდოვდება. სამოთხეში ადამიანს ყოველგვარი წყალობა ელოდება. იქ არანაირი პრობლემა და გასაჭირი არ არსებობს. ადამიანები სულ მათ გვერდით იქნებიან, ვინც მათ უყვართ. მამა ამბობს, რომ ცოდვილი ადამიანები თუ საკუთარ ჩადენილ ცოდვებს მოინანიებენ ისინიც სამოთხეში მოხვდებიანო.



- დიახ მეგობარო. ღმერთი უზომიდ მოწყალეა. მან ადამიანებს მონანიების სახით დიდი შანსი მისცა. ადამიანი ჩადენილს მონანიებს და პატიებას ითხოვს, ღმერთი კი თუ მოისურვებს მიუტევებს. გარდა ამისა, ღმერთი იმ ადამიანებსაც აძლევს სარჩოს, ვინც მას უარყოფს. უფლებას აძლევს ისუნთქონ, იცოცხლონ. . .

ასე რომ, ღმერთი, რომელმაც შექმნა სიკვდილი და სიცოცხლე, წარღვნის შემდეგ ყველას ხელახლა გააცოცხლებს და განიკითხავს.

- კი მაგრამ, როდის იქნება ეს?



- ეს წარღვნის შემდეგ მოხდება. ზუსტი დრო მხოლოდ ღმერთმა უწყის.

- იმედია ჩვენ სამოთხეში მოვხვდებით, თქვა ფარუქმა.

- იმედია. უპასუხა სალიჰმა.

მზე სათამაშო მოედანს გულუხვად ანათებდა. ეს ორი ბავშვი კი ისევ იმ საოცარი სამყაროს, საიქიოს შესახებ ფიქრობდა.

ამ ორ უმანკო სახეზე რწმენის ნათელი ელვარებდა. მუსლიმისთვის დამახასიათებელ სიმშვიდეს დაესადგურებინა მათ თვალებში.



muslimgeorgia

ამ დროს მათი მეგობრები ჰასანი და ქემალი მათთან მივიდნენ.

- წამოდით, ვითამაშოთ.

ბუნდი მაშინვე შეიკრიბა.

- სანამ ამ ახალ ბურთს არ დავხევთ არ ვჩერდებით. შევთანხმდით?

ამის თქმა იყო და პირველი გოლი სწორედ მას გაუტანეს.

